

შეზღუდული პასუხისმგებლობის

საზოგადოება

„ექსინპრო“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

შპს „ექსინპრო“

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	6

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	9	350,081	351,556	364,457
არამატერიალური აქტივები	10			-
სულ გრძელვადიანი აქტივები		350,081	351,556	364,457
მიმდინარე აქტივები				
მარაგი	11	399,597	141,623	69,508
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	369,811	310,468	305,011
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	13	19,987	8,416	60,233
წინასწარ გადახდილი გადასახადები	17	536,492	94,597	86,353
სასესხო მოთხოვნები	18	133,604	123,035	231,482
სხვა მიმდინარე აქტივები				
სულ მიმდინარე აქტივები		1,459,491	678,139	752,587
სულ აქტივები:		1,809,572	1,029,695	1,117,044
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		3,719	17,719	17,719
გაუნაწილებელი მოგება - ზარალი		776,559	935,977	1,018,954
სულ საკუთარი კაპიტალი		780,278	953,696	1,036,674
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სასესხო ვალდებულებები	14		0	0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები			0	0
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	1,029,293	75,999	80,370
ვალდებულება თანამშრომელთა მიმართ				
საგადასახდო ვალდებულება				
დარიცხული ხარჯები და სხვა გადავადებული შემოსავალი				
სხვა ვალდებულებები				
დარიცხული სასესხო ვალდებულებები	15			0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,029,293	75,999	80,370
სულ ვალდებულება:		1,029,293	75,999	80,370
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,809,572	1,029,695	1,117,044

დირექტორი

თარიღი : 17.06.2024

არჩილ ხვედელიანი

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ამონაგები	5	485,830	232,817	714,230
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		194,157	38,369	190,930
საწყისი მარაგები		141,623	69,508	147,177
მარაგების შესყიდვა		452,132	110,483	113,261
გადამუშავების დანახარჯები				
საბოლოო მარაგები		399,597	141,623	69,508
საერთო მოგება		291,673	194,448	523,300
სხვა შემოსავლები	6			
დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები		(204,459)	(186,793)	(432,902)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(21,645)	(21,884)	(20,516)
სხვა ხარჯები	7	(114,781)	(78,773)	(170,863)
ფინანსური ხარჯები/შემოსავალი	8	8,998	10,024	987
საპროცენტო ხარჯი				(6,678)
მოგება დაბეგვრამდე		(40,215)	(82,977)	(106,673)
მოგების გადასახადი		(21,403)		
სრული შემოსავლის მთლიანი თანხა		(61,618)	(82,977)	(106,673)
მოგების განაწილება		(97,800)		
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		935,977	1,018,954	1,151,417
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		776,559	935,977	1,044,744

დირექტორი

თარიღი : 17.06.2024



არჩილ ზვედელიანი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერსდ ასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ
31.12.2021 წაშთი	17,719.41	1,018,954.30	1,036,673.71
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი ზრდა/შემცირება	-		(82,977.42)
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	(82,977.42)	-
31.12.2022 წაშთი	17,719.41	935,976.88	953,696.29
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	(14,000.00)	-	(14,000.00)
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი ზრდა/შემცირება		(97,800.00)	(97,800.00)
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	(61,617.85)	(61,617.85)
31.12.2023 წაშთი	3,719.41	776,559.03	780,278.44

დირექტორი

თარიღი : 17.06.2024

არჩილ ხვედელიანი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ექსინპრო“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 202294338) შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ (რეგისტრაციის ნომერი B18081482). საწარმოს იურიდიული მისამართი არის საქართველო, ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. 39; საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ქ. თბილისი, ანა პოლიტოვსკაიას ქ. #5.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა საკუთარი არასაცხოვრებელი ფართის გაქირავება, სხვა სპეციალიზებული სამშენებლო სამუშაოები, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

საწარმო ფულადი სახსრების გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2023 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრულ იაღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საწარმომ პირველად გამოიყენა მსფხას-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის მსფხას-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება.

ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტში წარმოდგენილი წინა შესადარისი პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2017 წლის პირველი იანვარი.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ამონაგების აღიარება ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ საფაქრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

3.2 სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არა დისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხისამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

3.3 სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

3.4 სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არა დისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.1 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება მოგება-ზარალში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

3.1 მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

3.2 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების

სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

3.3 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა

3.4 მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

4. ძირითადი დაშვებები დაგანუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

ძირითადი საშუალებების ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა

საწარმო აკვირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვეთა, ტექნოლოგიური მიღწევები და საბაზრო ფასების ცვლილებები, რომელიც შეიძლება მიანიშნებდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალა უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ.

5 ამონაგები	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
შემოსავალი სამონტაჟო-სარემონტო მომსახურებიდან	406,291.02	129,311.62	621,296.79
შემოსავალი მასალის რეალიზაცია		9,913.56	5,038.98
შემოსავალი იჯარიდან	75,545.75	85,672.17	87,893.83
ამონაგები ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	3,993.20	7,919.49	
	485,829.97	232,816.84	714,229.60

7 სხვა ხარჯი	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ძირითადი საქმიანობის მომსახურების ხარჯი	29,686.02	33,458.33	72,284.78
კომუნალური მომსახურება	10,725.21	8,654.48	7,695.29
კომუნიკაციის ხარჯი	3,742.47	4,687.92	6,749.83
სამეურნეო მომსახურება			
დაცვის მომსახურება			
იჯარის ხარჯი	14,237.28	14,237.28	14,237.28
რეკლამის ხარჯი	1,570.56	2,847.09	
მიწოდების სხვა ხარჯი	42,188.00		
იურდიული მომსახურება			
სხვა საერთო ხარჯი	5,782.35	8,295.61	9,661.06
ბანკის მომსახურება	2,758.93		
მომწოდებელის ჯარიმა-საურავი			
ქონების გადასახადი	3,338.55	3,500.44	3,624.83
მიწის გადასახადი	751.92	751.92	751.92
ხარჯის კაპიტალიზაცია			
დაზღვევა			
სხვა მიმდინარე ხარჯი	-	2,339.93	55,858.50
	114,781.29	78,773.00	170,863.49

8 ფინანსური ხარჯები/შემოსავალი	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
პროცენტიდან შემოსავალი	(11,031.52)	(17,065.35)	(14,649.54)
დადებითი საკურსო სხვაობა			
უარყოფითი საკურსო სხვაობა	2,033	7,041	13,663
	(8,998.05)	(10,024.12)	(986.71)

9 ძირითადი საშუალებები	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
მიწის ნაკვეთი	16,960.00	16,960.00	16,960.00
შემობა-ნაგებობა	292,238.41	301,207.95	313,337.44
მანქანა-დანადგარები	10,204.42	13,067.12	14,004.17
სამუშაო ინვენტარი	2,761.56	2,462.19	3,381.88
ოფისის აღჭურვილობა	3,179.56	4,770.78	7,452.97
ავეჯი და სხვა ინვენტარი			

	1,766.43	1,942.52	1,950.60
საკომუნიკაციო საშვალეზა	0.01	0.01	0.01
სატრანსპორტო საშვალეზა	19,389.71	7,200.02	483.05
სხვა ძირითადი საშვალეზა	3,580.63	3,945.74	6,887.04
	350,080.73	351,556.33	364,457.16

ძირითადი საშვალეზის პირვანდელო ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი) ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. პირვანდელო ღირებულების შეფასებაში მონაწილეობს მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე; ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან; აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალდებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

11 მარაგი	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
	399,597	141,623	69,508
ნედლეული და მასალა			
	399,597	141,623	69,508

12 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
მოთხოვნა მიწოდებიდან და მომსახურებიდან	369,322	309,839	304,970
მოთხოვნა საწარმოს პერსონალის მიმართ	489.17	629.08	41.43
	369,811.05	310,468.14	305,011.26

13 ფულადი სახსრები და ეკვივალენტები	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ნაღდი ფული სალაროში			
ფული საბანკო ანგარიშზე	19,986.61	8,416.30	60,233.32
	19,986.61	8,416.30	60,233.32

ფული საბანკო ანგარიშზე - უცხოურ ვალუტაში წლის ბოლოს არსებული ნაშთი გადაანგარიშებულია შესაბამისი ეროვნული ბანკის კურსით.

16 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
მოწ.და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულება	54,674.77	37,824.14	49,657.08
მიღებული ავანსები	974,618.32	38,174.71	30,713.41
	1,029,293.09	75,998.85	80,370.49

17 წინასწარ გადახდილი გადასახადები	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
მომწოდებლებთან გადახდილი ავანსი	156,853.70	42,279.91	51,837.43
საგადასახადო აქტივი	221,953.19	47,951.62	30,145.38
ავანსად გაცემული ხელფასი	157,685.00	4,365.00	4,370.00
	536,491.89	94,596.53	86,352.81

18 სასესხო მოთხოვნები	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
გაცემული სესხი	122,572.28	123,035.24	216,832.00
მისაღები პროცენტი	11,031.52		14,649.54
	133,604	123,035	231,482

1. მსს ფასს -ზე გადასვლა

საადრიცხო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც მომზადდა წინამდებარე ფინანსურია ანგარიშგება გამოყენებულია მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღიდან. საწარმოს წინაპერიოდებში საერთოდ არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება. შესაბამისად, მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგადარ წარმოქმნილა კორექტირებების აუცილებლობა.

2. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 15 აგვისტოს.

დირექტორი

თარიღი : 17.06.2024

არჩილ ხვედელიანი